თუ ამ გვარსახელს დავაკვირდებით, იგი გუმბარდისკენ გვიბიძგებს და მისი თავისებურად შემოკლება უნდა იყოს თითქოს.

„ფოთის მახლობლად“ გუმბარდები გურიაში ცხოვრობენ მხოლოდ. გურიის ის ნაწილი, რომელიც დღეს ფოთს ეკვრის სამხრეთიდან, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში შედის, სადაც 43 მცხოვრებია აღრიცხული (გ. ბედომელი, ქართული გვარსახელებისა და ტოპონიმების ლექსიკონი, ვაზ. „მულ-ეკო“, №10-11, 2003, გვ.27).

ეს საგვარეულო „ფერსათის“ ქვეყანაშია და მისი „ძირ-ბუდე“ იქაა თითქოს სავარაუდებელი, მაგრამ გუმბარდის გურიაშიც არ უჩანს ხანმოკლე ცხოვრება.

ამას მოწმობს ერთი წყაროსი წიგნი, რომელიც ქართულ ხელნაწერთა ცენტრშია დაცული (დ-7172).

ამ წიგნს ბატონიშვილი ლევან გურიცისძე აძლევს ახნაურ იესე თავა-

რთქილაძეს 1802 წლის 29 ნოემბერს და მასში „მოწამეთა“ შორის „მეღვინე“ თობა გუმბარდისკენ არის დასახელებული.

აქედან ჩანს, რომ ეს პიროვნება ბატონიშვილის მოხელეა, რომელსაც ღვინის საქმე ეკითხება.

შესაძლოა ლევან გურიცისძეს სხვა მეღვინეც ჰყავდა. მას საკმაოდ დიდი ყმა-მამული ჰქონდა და ერთი მეღვინე მას ალბათ ვერ გაწვდებოდა.

ეჭვობა, ამ პიროვნებას გურიაში იმ დროს ჰქონდა ერთგარი ტრადიციები, თორემ რომელიმე კუთხიდან ახალმოსულ კაცს კარის მოხელედ ასე ერთბაშად არ დააყენებდა.

ჩრდილო-აღმოსავლეთ გურიაში მე-XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე რამდენიმე საბატონიშვილო იყო და არც არც ერთი არ იყო დიდად დამორბეული ფოთს.

რომელი სოფლის მკვიდრი იყო თობა „მეღვინე“ ვერ კიდევ საძიებელია, მაგრამ გუმბარდის ჩვენი სასახელო ფილოსოფოსის დაბადების ჟამს, რომ „ფოთის მახლობლად“ იხსენიენ, ეს კარგად ჩანს. 1950 წელს სოფელ ტამანათს (დაბა სუფსის ჩრდილოეთით) ჩვენ დავადასტურეთ გუმბარდის მკვიდრობა (ი. სისხარულიძე, მოგზაურობა გურიაში, 1950 წ. გვ.15), ხოლო მოგვიანებით იგივე დადასტურა პროფ. ალ. ლლონტი (მისი, სუფსა-ნატანების ხეობები, თბილისი, 1993 წ. გვ.168).

გუმბარდები ჩრდილო-დასავლეთი გურიის სხვა სოფლებშიც (ოკუნე-ახლა შრომისუბანი (ჩოჩხათის თემი) მოსახლეობდნენ და შუა გურიაშიც (სოფ. ნატანები), მაგრამ მათთან ფოთთან ყველაზე ახლოს სოფელი ტამანათია, რომლისგანაც ფოთამდე ათი-ოდე კილომეტრზე თუ იქნება მხოლოდ. ჩვენ მოუხილავი არც ფოთთან ამაზე ახლო მდებარე დაბა-სოფლები (სუფსა, ხიდმაღალა, გრიგოლეთი, მალთაყვა) დავკვირებია, მაგრამ ამ სოფლებში გუმბარდის გვალს ვერ ვხედავთ ვერ მთავრდებოდა.

რადგან ტამანათს გუმბარდები კა მიკვლეულია, ახლა იქ ჩასვლა და იქ მცხოვრებთა შესწავლა აუცილებელია. ვინ უწყის, იქნებ ტამანათი აღმოჩნდეს ფილოსოფოსის სამკვიდროც.

### საკუთარი სახელი – ემ

ამ სახელით იწოდება დღეს ერთი ქართველი ემიგრანტი, მეცნიერი (ფილოსოფოსი) ამერიკის შეერთებულ შტატებში გვართი გოუბარი (გუმბარდის?).

საკუთარი სახელი ემ აქამდე საგანგებოდ არავის შეუსწავლია.

მამაკაცთა ქართულ სახელებში

ზურაბ ჭუმბურიძე ამ სახელს არც იხსენიებს (მისი, რა გქვია შენ?, 1982, გვ.82), ხოლო ქალთა სახელებში ემხას ასახელებს და იქვე მის ნაირსახეობასაც (ემხანა, ემხია) გვამცნობს (იქვე, გვ.128).

ამ სახელის ძირითადი ფორმა ემხანა უნდა იყოს და არა ემხა. ეს უკანასკნელიც და ემხანაც ემხანას შემოკლებული ფორმაა.

ემხანა და ემხია იშვიათად თუ სადმეა შემორჩენილი დღეს, ემხანა კი მცირედ სახეცხვავი სახით (ემხანა) ახალ შეიძლება შეგვხვდეს გურიის „უხუცესთა შორის“.

ემხანა-ემხანას შემოკლებული ფორმა (ემხ-ს) პროფ. ალ. ლლონტიც იცნობდა და იგი ჩხოროწყეს (იდიში) მამაკაცის საკუთარ სახელადაც დაუდასტურებდა თითქოს. (ალ. ლლონტი, ქართველ მამაკაცთა სახელები, თბ. 1986 წ. გვ.12).

იდიშს (ნახუნას და სერგიეთს) ამ სახელის სხვა ფორმისთვისაც (ემ-იმ) მოუკვლევა (იქვე), მაგრამ – ემ ფორმა მის ექსპლიციტებს ვერ გამოუვლინა.

გურიაში მამაკაცის სახელს ემ-ს, ქალის სახელიც – ემა მოსდევს. ასე იწოდება პირველი რევოლუციის დროს (1905) მცხოვრები ერთი მანდილოსანი ემა გოგობერიძე, რომელიც სოფ. ქვემო ამაღლებას ყოფილა გათხოვილი დიდიმეზე. (თენგიზ ულენტი, 1905 წელის გურიაში, ბათუმი, 1925, გვ.25).

ზოგიერთი მეცნიერი ამ სახელის ფუძეს ემხ-ს ქართული წარმომავლობის სიტყვად მიიჩნევს (ზ. ჭუმბურიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 128). აქტიურ მკვლევარს ქართულში ამ სიტყვის ფართო გავრცელება ეწვევა, მაგრამ ეს სიტყვა აშკარად არაბულიდან შემოსული ემხიდან მომდინარე სახელია.

უცხო სიტყვა ემხს, რომელიც ასე გაიმინაურა ქართულმა ენამ, რამდენიმე მნიშვნელობა გააჩნია: სიყვარული, სილამაზე და ა.შ. (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბ. 1986 წ. გვ.224).

ჩვენთვის ახვერად საინტერესო საკუთარი სახელები (ემხანა, ემა და ემი) არაბული „ემხან“-ს მეორე მნიშვნელობისაგან (სილამაზე) მომდინარეობენ.

### ყრობის ფლამი

სამეცნიერო ლიტერატურაში დაცული და ასე მტკიცე ცნობით, გოუბარი თავის სამკვიდროში თითქოს „1937-1938“ წლებამდე დარჩენილა (ქართველი ფილოსოფოსები, 2004, გვ.64).

წლების ახვეარი მითითება იმის მჩვენებელია, რომ გოუბარის სამშობლოში ყოფნის ზემო ქრონოლოგიური

სახლვარი მათთვის ვერ კიდევ არაა მთლად ნათელი და სამშობლოდან ემიგრაციაში გამგზავრება ან 1937 წელს, ანდა 1938 წელს იგარაუდება.

ეს ხომ შორეული ამბები არ გახლავთ, ასე ვარაუდებს, რომ ვემყარებოდით. თუ ემიგრაციაში წასვლის თარიღი 7-8 წლის ბავშვს არ დაამახსოვრდა, ვიდაც ახლობელმა ხომ შეიძლება იცოდეს საზღვარგარეთ გამგზავრების დრო.

როგორ ატარებდა მომავალი მეცნიერი თავისი ყრობის წლებს, ამხე დღევანდელისობით რაიმე ცნობა არ მოგვეპოვება.

შესაძლოა, რომ ის კიდევ მაბარეს სკოლაში და ერთხანს კიდევ სწავლობდა, ვინ უწყის ერთ სასწავლო წელს მანც.

თუ ეს ვარაუდი სწორია, მაშინ გოუბარი იქნებ სუფსის საშუალო სკოლაში სწავლობდა. ეს სკოლა ტელემაქ გურიელის სასახლეში იყო გახსნილი და ტამანათიდან სასახლამდე არც ისე შორი გზა (ერთ კილომეტრზე მეტი არ უნდა ყოფილიყო მანც) იყო. შესაძლოა ტამანათის დაწესებით სკოლაც იყო 30-იან წლებში. კოლმურენობა კი ჰქონდა ტამანათს და შესაძლოა დაწესებით სკოლაც ჰქონოდა.

### გოუბარის ემიგრაცია

გოუბარმა აღმოსავლეთ ევროპისა და სამხრეთ-დასავლეთი ევროპის რამდენიმე ქვეყანა მოიარა:

პირველად ემიგრაციისგან ერთად ბულგარეთს ეწვია; შემდეგ იტალიას გადასახლდნენ: იტალიის სანჯოვანის შემდეგ ერთხანს საბერძნეთიც მოსინჯეს; ერთხანს გერმანიაში იყვნენ.

ასე გადასვლა-გადმოსვლანი 1950 წლამდე გაგრძელდა. ამასობაში ემიც იცი წლის მოიყარა.

ამასობაში მას შეიძლება გერმანიის რომელიმე უნივერსიტეტში დაეწყო სწავლა. იცი წლის ფაქტობრივად არაა გასაკვირი, თუ რაიმე ხელი შეუშალა და უნივერსიტეტში შესვლა დაავიანა.

1950 წელს ტოვებს ევროპას და ოკენას გადმ გადადის.

იქ აგრძელებს სწავლას და 1954 წელს ამთავრებს ოსკონისის უნივერსიტეტს.

ამ დროს უკვე შეღერებული ჰაბუკა – ოცდაათი წლისა.

სად იწევს მუშაობს, არ ვიცით, მაგრამ ერთხანს აშშ-ს რჩება.

ეს ხანა 1959 წლამდე გრძელდება. ხუთი წელიწადი.

ამ ხუთ წელიწადში ისე მოეშხადა, რომ ევროპის ერთ-ერთ პრესტიჟულ უნივერსიტეტში გაუხსნეს კარი.

### ყრობის უნივერსიტეტი

1959 წელს გოუბარი ჟნევის უნივერსიტეტში მიიწვიეს, სადაც იქამდე ამაღლდა, რომ ორი წლის შემდეგ (1961) ადონექტ-პროფესორად აირჩიეს. ყნევაში მან რვა წელი დაჰყო და იქ შეიმუშავა კიდევ ფილოსოფიური თეორია – „დიალექტიკური რეალიზმი“.

ამ ფილოსოფიურ თეორიაში მან დიდ წარმატებას მიაღწია და სამშობლოშიც მიიწვიეს.

მან სადოქტორო დისერტაცია დაიცვა და ტრანსილვანიის უნივერსიტეტის პროფესორი გახდა.

### სამშობლოში

გოუბარი საქართველოში პირველად 1990 წელს ჩამოვიდა, როგორც დასავლეთში გამოჩენილი მეცნიერი.

ქართველ ფილოსოფოსთა ყვრადლება მიიქცა მისმა ლექციამ – „ხელახალი შეხვედრა მეცნიერების ფილოსოფიასთან. დიალექტიკური მატერიალიზმი“.

ამ მოხსენების ტექსტი სამი წლის შემდეგ გამოქვეყნდა.

ამას მოჰყვა მისი გამოკვლევები – 1999, 2001, 2003 და 2004 წლებში.

ალბათ მომდევნო წლებშიც არ უნდა ყოფილიყო ჩაყრდნები თითქოს. ყველაფერი ეს რაც ჩვენში დაიბეჭდა. მაგრამ ამით როდი ამოიწურა მისი ძიებანი. ის ევროპისა და ამერიკის საფილოსოფოსო ყვრნაღებშიც ნაყოფიერად თანამშრომლობდა.

გოუბარი საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის უცხოელი წევრი

გასული საუკუნის 90-იანი წლების შუახანებში ჩვენში დაარსდა ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემია, რომლის პირველ პრეზიდენტად აირჩიეს აკადემიკოსი სერგი ავალიანი.

აკადემიაში შევიდნენ გამოჩენილი ქართველი ფილოსოფოსები და რამდენიმე უცხოელი წევრიც. მათ შორის იყო ემ გოუბარიც.

მრავალმხრივია ბატონი ემის საფილოსოფოსო ინტერესი.

ინტოლოგიასა, გნოსეოლოგიასა, მეცნიერების ფილოსოფიას და სიცოცხლის ფილოსოფიის საკითხების გვერდით ბოლო დროს იგი თანამედროვე ქართველ ფილოსოფოსსაც სწავლობს და დასავლეთსაც ნაყოფიერად აცნობს ჩვენი საფილოსოფიო აზროვნების მიღწევებს.

### იური სისხარულიძე

პროფესორი

# რამდენიმე სიტყვა დიდი ხნის მემობარზე

ოღითგანვე ცნობილია, რომ ქართულ ოჯახში ქალი ყოველთვის დედობით, მეუღლეობით, პატიოსნებითა და კდემამოსილებით ფასდებოდა, კაცი კი სიტყვისა და საქმის ერთიანობით, ვაჟკაცობით. ყოველივე ეს ხომ თვითმყოფადობის, ადამიანის შენარჩუნებისა და საერთოდ სახელმწიფოს ძლიერების საფუძველია. საქართველო, რომელიც მუდამ განიცდიდა უცხო ტომების, რუსეთის, თურქეთის, ოსმალეთის, სპარსეთისა და სხვა ქვეყნების შემოტევას, ასეთმა ოჯახებმა გადაარჩინეს და დღემდე მოიყვანეს. სწორედ ასეთი ოჯახების კატეგორიას განეკუთვნება ბატონ ამირან მამულაიშვილის

ოჯახი. ბატონ ამირან მამულაიშვილს იცნობენ, როგორც კრისტალურად სუფთა, სიკეთითა და სითბოთი გამოჩენულ პიროვნებას, რომელმაც წინააღმდეგობებით აღსავსე პერიოდშიც კი შეძლო მრავალი სასიკეთო საქმის კეთება, ვერ კიდევ დიდი სამამულო ომის პერიოდში არასრული საშუალო სკოლის მოსწავლე, უნარიანად ხელმძღვანელობდა მეჩაიეთა ახალგაზრდულ რგოლს, რომელშიც უკრაინიდან ევაკუირებული ახალგაზრდებიც იყვნენ გაერთიანებული. იგი მაშინ დაჯილდოებული იქნა მედლით, „1941-45 წწ. დიდი სამამულო ომის პერიოდში მამაკაცი შრომისათვის“, 11

წლის ყმაწვილი დაჯილდოებული იყო მთავრობის ჯილდოთი, რასაც პრეტენდენტი არ აქვს არც ერთ დროში. ჯილდო შემდეგ მიაც დაიმსახურა მრავალი, მათ შორის ღირსების მედალიც. ბატონმა ამირანმა 50 წელი იმუშავა სოფელში ხელმძღვანელ თანამდებობებზე და გვერწმუნეთ, მას არავითარი კარიერული მისწრაფებანი არ ამოძრავებდა, არასოდეს უფიქრია თანამდებობის ბოროტად გამოყენებაზე და რაიმე უპირატესობის მიღებაზე. მის ოჯახში, უკანონოდ არც ერთი კაპიკი არ შეტანილა, ყოველთვის იქ იყო, სადაც სოფლის მომავლის ბედი წყდებოდა. ბატონ ამირანთან დიდი ხნის მეგობრობა მაკავშირებს. როგ-

ორც ზემოთ აღვნიშნე, ის არის კრისტალურად სუფთა პიროვნება, პატიოსნების განსახიერება. ყოველივე ამან გადაამწვევტინა მასზე დამეწერა პატარა ლექსი, რომელსაც ვთავაზობთ.

### ბატონის პრეზიდენტი

სამშობლოზე სიყვარულით იწვი, იღწვი მეტისმეტად. ამიტომაც გთვლის მაგანნი შენი კაცობის პრეზიდენტად. შენი სოფლის სიყვარული სადაც ფეხს დგამ, ყველგან დაგაქვს, შენი კაცობის პრეზიდენტო შენი სოფელს, შენი ქალაქს. არ ფიქრობდი სიმდიდრეზე,

არ გინდოდა სხვებზე მეტი, კრისტალურად სუფთა ხარ და ხარ კაცობის პრეზიდენტი. დღესაც ისე ცხოვრობ, შრომობ, მას არა აქვს პრეტენდენტი, ხარ კაცობის ეტალონი, და კაცობის პრეზიდენტი. ჩემს მეგობრებს რომ ვისხენებ ღირსეული თქვენი ხართ ერთი, ასე გიცნობს ბაილეთი ასე გიცნობს ოზურგეთი. ასე იწვი იყო მინდა, არც ნაკლები და არც მეტი, მართალი და გულით წმინდა ხარ კაცობის პრეზიდენტი.

ნოდარ ღონაძე.





# გურულთა და გურიელთა წვლილი 1877-1878 წლების რუს-ოსმალურ ომში ქვემო გურიის და აჭარის დედა სამთავროსათვის შიმშილის სახეობის სახეობის

რეზიუმე უკვე გამოქვეყნებული ისტორიული მუშაუბის მინიშნულებით მანანა მამარიაშვილი

გასული საუკუნის 70-იანი წლების მიწურულს ისტორიის ავანსცენაზე მიეღობოდა წარმოიშობა ლეგიონური ვერობის „მარად თავსატეხი აღმოსავლეთის საკითხი, რომელიც ოდეს-ღაც დღიურებისა და სიკაშკაშით მოცული „პრეცედენტული პორტის“ ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებას თუ დანაწევრებადგომას გულისხმობდა. „ოსმანისა და ორხან ბეგის ნაშრომთა ქვეყანა რომელიც არასოდეს არაფერს აწარმოებდა და მხოლოდ დამორჩილებულ, დაპყრობილ, გამუსლიმანებულ ხალხთა ნაძარცვი შემოსავლით ცხოვრობდა, სამხრელი მიწების წინაშე აღმოჩნდა.

რეგულარული სერიალით ძალადობრივად რუსეთი წვერგაბასრული ხიმშით აღმავლით მიემართებოდა და სუნიტურ ოსმალეთს უმცროსი ძეგის ბალკანელი სლავეების და იტალიის ძალისხმევით მიტაცებულ ოსმალის საქართვეოს მიწა-წყალს ედავებოდა.

ქვეყანაზედარე ვერობელი დიპლომატიის რუსეთის გარეშე საქმეთა მინისტრ-ვიორჩაკოვის ეკითხებოდნენ, „ამბობენ რუსეთი ბრახოსო“.

გორჩაკოვის პასუხი ლაკედემონელ სპარტანელთა მეტყველების სადარილ-აკონური იყო: „რუსეთი კი არ ბრახოსო, ძალებს იკრებსო“.

მახლობელი ომის სავრთხეც-ოსმალის მოსალოდნელმა დაწიკვამ სისარულის ყრფილა მოპყვარა მრავალტანჯულ საქართველოს. ამ სისარულის განსაკუთრებით ოზურგეთის ქვეყნის, იმხანად რუსის მიერ ოზურგეთის მხრად სახელდებული გურიის მკვიდრნი გრძობდნენ განსაკუთრებული ძალისხმევით, რადგან რუს-ოსმალის ომმა ადრე გურიელთა მგარველობაში მყოფი ქობულეთ-ბათუმ-ჩაქვსა და მისი მიდამოების დედა სამშობლოსადმი შემოერთება უნდა მოყოლიდა შედეგად, რომელსაც შედეგში რუსის იმპერატორი ალექსანდრე რომანოვი უნდა დაჰპატრონებოდა.

1873 წლის 9 მარტს, ვახუთ „დროებაში“ გამოქვეყნებული იქნა ოზურგეთელ კონსტანტინე გვეგაძის „ოსმალის ქართველებისადმი“, „ათათრთა კიროების ქვეშ“ მყოფი გურულებისადმი განსაკუთრებული სითბოთი და სიყვარულით აღსავსე ყურადსაღები წერილი, სადაც ავტორი გვაუწყებს:

„ჩვენი გურულებს მწარედ გვაგონდება ის უბედური შემოსევა, რომ ჩვენ დიდი ხანია მოვაკლდით ერთობას იმ გურულებთან, რომლებიც დღეს ოსმალეთის ქვეშემორბედი არიან, და შეადგენენ აჭარის, ქობულეთისა და ლაზისტანის მაცხოვრებლებს. ეს მხრები ერთ დროს თავისი მღებარეობითა, ბუნებითა, და სიძლიერით საქართველოს საუკეთესო ადგილებად ითვლებოდნენ, მაგრამ დღეს მუხთალი ბედის წერამ და ოსმალთა ღვთის მძინვარებამ, დავაშორეს ღვიძლი ძეგები ერთმანეთს, მაშინ როდესაც ჩვენი ბედი, ჭირი და ღმერთი, ერთად, მძურად გვიტარებდა ათასი, თუ ორი ათასი წლის განმავლობაში.

საოსმალე გურია ჩვენგან აჰყავდა საზღვრების მდინარე ჩილოქით და აჭარა გურიის ქედით, ეს საზღვრები თავისი სიდიდით კი არა, უფრო გარეგანი ძალდატანებით გამხდარან ჩვენი ისტორიული კავშირის გამაჟღებებელი, საქართველოს ტანჯულ ერს ეს მხრები შეუწირავს მსხვერპლად, როცა ომის დაქანცულ სხეულს გასჭირვება იმ აუარებელის მტრების მოგერიება, რომელნიც ყოველიმხრით მას კვალში უღვნიენ შესამუსრავად, ასაკლებად და წარსატყვევად, მაგრამ ვანა შეიძლება ეს შეწირულობა მას საპატიო საქმედ არ ჩაეთვალოს, მაგრამ ის მოხდა იმ დროს,

როცა მთელი საქართველოს სხეული ყოველის მხრით წყლულებით იყო სავსე და მხოლოდ მისთვის იღებდა ამ შეწირულობას, რომ თვით ფეხზე წამოძვარიყო და ხელახლა ზედნადებად დაებრუნებინა ეს მხრები.

ისტორიაში ვერ შეხვდებით მაგალითს, რომ საქართველოსთან უბედური სვე რეგობდეს სხვა რომელიმე ხალხს ხვედრად; მთელი ჩვენი ისტორიული ცხოვრება ერთი დიდი დრამაა, სადაც ყველა ნიჭი სისხლით არის აღებვდილი, სადაც მთელი ხალხი თითო განებდ იყოს შეწირული დასაღუპავად; ყველა მხრით მტრის თვალი უცქერის, რომ მისი სისუსტით, გაჭირვებით ისარგებლოს, მაგრამ ის იბრძვის მარჯვნივ და მარცხნივ და ყველას პასუხს აძლევს, თუმცაღა ამავე დროს თვითონვე სუსტდება.

ჩვენი დაკარგული ძეგის, საოსმალე გურულების, ხელახლა დაბრუნება შეეძებოდა (თუ მოვინდომებთ), ვისურვით და რომ ოდესმე მკლავს ძაღვს საჭირო დარჩენილეს ამ წმინდა ნატერის სისრულეში მოსაყვანად. ჩვენ მაშინაც დავამტკიცებთ, რომ ჩვენი მათთვის მზად ვართ ყველა შეწირულობისათვის; დღეს საწუგემოდ მხოლოდ ის დავგრძენია, რომ სიმამტიური დამოკიდებულება, მეზობლობა და ერთმანეთის იმედი, როცა ისტორიულად არსებობდა ჩვენი და საოსმალე გურულებს შორის, დღემდის არ შეწყვეტილა და არც ის სახალხო თეოსებანი, რომლებიც იმათ ჩვენგან მოცილებამდე ჰქონიათ, არ დავარდნა, არამედ ისე შენახულან მათში, რომ დღეს კაცი, რომელსაც მეტად თუ ნაკლებ, ჩვენი ძველი გურულების და ახლანდლების ცხოვრება სმის, დანახავს რომ საოსმალე გურულებს შეუცვლელად შეუნახავთ მამა-პაპური ენა, ჩვეულება და თვით ძველებური გურულების ხასიათი, ასე რომ თუ თქვენ გინდათ წარმოიდგინოთ თუ რა იყო ორმოცი, სამოცი წლის წინა და კიდევ უფრო (წინარე ხანაში) ჩვენი გურია, უნდა გადახედოთ დღევანდელ ახლომხლო გურულების ცხოვრებას; იქ ნახეთ თქვენ გურულს, მუდამ დაღაღებულს, რბილს, თავანახანს, მაგრამ გამბედავი ხასიათის მქონეს, რომელიც მზათა ებრძოლოს ყველა გასაჭირს, რაც უნდა სასტიკი ხასიათის იყოს, მას არ შეუხთვია ვერ საბრძოლველად მარლები მტრის ძლიერად და არც მხნაგან მატერადიურ საჭიროებას და გამბედაობის სურვილს შეუხურია ისე, რომ რომელიმე ზნეობის დამამცირებელი ღონისძიებანი იმხარის თავისი ღარიბი, მაგრამ თავისუფალი და საკმაო დამამყაფილებელი ცხოვრების შესაცვლელად უფრო მდიდრულ ცხოვრებაზე, ზნეობით, თავისუფლებად და სიყვარულად, ზნეობის სიწმინდე შეადგენს დღეს მათთვის საამყო საგნებს, ის ამგვრებს მათ, რომელთაც ღირსეულად ამაყობენ ამათი მამა-პაპებიც, თუმცა ამ მამა-პაპებს სხვაც ბევრი რამ ჰქონდათ საამყოფად.

ერთნაირი მდგომარეობა ამ მხრებისა, და ის გაუფრთხილებელი ქცევა საოსმალე მმართველობისა; რაცა წარმოადგება უფრო მმართველობის სისუსტის გამო, ვინემ მისი გულკეთილობისა, უმსუბუქებს იმათ პოლიტიკური თავისუფლების დაკარგვის მწუხარებას და თვალს უხვევს ახალს იმათ მგომარეობაში, ამის გამოც ადვილი ასახსნელია, თუ როგორ დაიმედებული გულთი ხვდებან ისინი ყველა გაჭირვებას და ის თუ რანაირად ეგაშნიკებად იმათ ყველა მმართველობის ძალდატანებით მოქმედება.

ამას წინად (ოსმალის გურულებს) ყველა მხრები აჯანყდა და შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწია მმართველობას, რომელსაც სურდა გადასახადის

**ალიონი** **გვილატა,**  
**ჩაბვიშვილი კირიკაშვილი,**  
**თითონე ვულევი იოვან,**  
**ჩვენ ჩაბვიშვილი რუსის ხელში,**  
**მასაც კარგი არ დავართმის,**  
**ბაჭრით ჩაითრის ბეგში,**  
**მისი ყვირილი ისმოდ,**  
**სუსის გაღმა ბაილეთში.**  
**ხალხური.**

მომატება, განსაკუთრებით მიწებზე და თუმცა არა შეტაკება, არცა წესის დარღვევა არ მომხრად, მაგრამ, თუ რომ მმართველობის კეთილდღეობა უფრო საფუძვლიან გზას არ დასდებოდა, ვინემ ძალდატანებით მოქმედების, და თუ არ გამოეკვლია, რომ ამ მხრებისათვის ახლანდელზე მომეტებული გადასახადი შეეწირებოდა იქნებოდა, მაშინ ცხადია, რომ უსისხლოდ საქმე არ დაბოლოვდებოდა: კიდევაც ამ მხრების მცხოვრებლებს (ოსმალის გურულებს) ჰქონდათ წინდაწინ მოლაპარაკება გურულებთან, რომ თუ ჩვენმა ბედმა ვერ გაჭრა, და ვერ დავამარცხეთ საოსმალე ვჯარები, მაშინ გზა მოგვეცით გურიაში გადმოსასვლელათი.

მაგრამ ამ წინადადებაზე გურიის ადგილობრივმა მმართველობამ, რასაკვირველია უარი უთხრა და მოსაზღვრე ხაზზე ახალი სახსრები გაიღო, რომ არამც და არამც აქეთ გადმოსვლა არ დააპიროთ, თუმცა აჯანყებულებმა თავისი გაიტანეს, მაგრამ მანც ძვირად დაუფლათ ეს აჯანყება, რადგან უმეტეს სამის თვისა, მოაკლდნენ ყველა საოჯახო საქმეებს, მაგრამ მცირე ხნით, ეს ფაქტი შესანიშნავია, რადგან ისინი, ხელახლა დარწმუნდნენ თავიანთ ძლიერებაში, რაცა უცვლელად თავის მხრეც სარგებლობას მოიტანს.

როგორც ხედავთ, დროებს და ახალ პოლიტიკურ მდგომარეობას ვერ მოუხდენია შესანიშნავი ცვლილება საოსმალე გურულებში, ისინი დარჩნენ უწინდელათ მხნედ, მამაცნი, თავისუფლების მოყვარულნი, თავიანთი ერთი და ჩვეულებებით, შეეცვალათ იმათ მხოლოდ სარწმუნოება-ერთი უმთავრესი მუდამ ჩვენი თავშეწირულობის მიზეზი-ისიც ძალდატანების გამო;

ქრისტიანული სარწმუნოება ერთს დროში ჰყვოდა საქართველოს ამ ნაწილში, რაც მტკიცდება... იმ აუარებელი ეკლესიების რიცხვით, რომლებიც დღეს აჭარაში და ქობულეთში მოიპოვებან და თავის შწიან ხელოვნებით და მასალების სიმდიდრით, აკვრებენ მნახველებს და რომელნიც თითქოს განებდ დამოიღან, რომ იმათ უწევნონ, რომ მათი წარსული უფრო მწაით იყო, ვინემ აწმყო.

გაზეთი „დროება“ ხშირად აშუქებდა ოსმალეთის გურულების სოციალურ-ეკონომიურსა და პოლიტიკურ ყოფას. აშკარად იგრძობოდა ქართული საზოგადოებრივი აზრის თანაგრძობა და მხარდაჭერა ოსმალთა მფლობელობაში მოქცულ ღვიძლი ძეგის მიმართ. თანდათანობით მზადდებოდა ნიდაგი მათი ერთობლივი ბრძოლი „პრეცედენტული პორტის“ დღიბაშების წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლისა. წერილში „ოსმალეთის საქართველო“ გაზ. რედაქტორი სერგეი მესხი აღნიშნავდა:

„რამდენიმე მხრად, - როგორც ამბობენ თითქოს ორასი ათასი შთამომავლობით ქართველი დღემდე თავის დედა ქვეყანას მოწყვეტილია და ოსმალეთს ექვემდებარება. აჭარა, მაგთეთი, ლაზისტანი ერთ დროს საქართველოს ნაწილები ყოფილან. დღეს, სხვადასხვა ისტორიული გარემოებათა წყალობით, ოსმალის შექმნილან.



საუკუნეებს გაუვლია, რაც ეს ქვეყნები ოსმალის დაუპყრია, რაც ოსმალე ცდილობს, რომ იქაური ქართველები გაეთათრებინა.

მაგრამ, დახეთ ქართველი ტომის სიმტკიცეს, რჯულის მეტი იმათ არა შეეცვლიათ რა და ისიც მხოლოდ ძალდატანებითაა და სხვადასხვა ოსმალური ითნებით შეაცვლენენ.

სამშობლო ენა. ხალხის ხასიათი, ჩვეულებანი, და ცხოვრება ისევ ძველი ქართველი აქეთ.

ავტორი ბრიშვილი: „სამი თვე თურქეთის საქართველოში“ (უფალი ვახუთი). რომელმანაც 1874 წელს რამდენიმე ნაწილი საქართველოსი მოიარა და ბერი საინტერესო ცნობები გადმოგვცა იქაურს ქართველებზე, თავის აღწერაში... ამბობს: (ოსმალეთის გურულებმა) და ?აჭარლებმა იციან თამარ დელოფის სახელი, ყველგან გაიგონებთ აქ, რომ ჩვენ ერთ დროს ქრისტიანები ვიყავით; რომ მუბეს იქეთ ცხოვრობს ჩვენი მოძმე და ნათესავი ხალხი - ქართველები, იმათს ნამამბობში ისმის სინანული, რომ ერთ დროს ძლიერნი, ახლა ასე დაცემულნი ვართ... (ამ ხალხს) მომავალში რაღაცის იმედი აქეთ“.

... ერთი სიტყვით მთელი ოსმალის საქართველოს ხალხს სული უღვია, სახე ნამდვილი ქართველისა აქვს, ჩვეულება და ცხოვრება საქართველოსი, ხალხი თუმცა დიდი ხანია გამაჰმადიანებულია, მაგრამ ახლაც სასოებით დაიარებან თურმე იქაურ ქართულ ეკლესიების ნანგრევებში და შესაწირავი მიაქეთ.

იმათ ასსოვით რომ ჩვენი თანამოძმენი არიან, რომ ერთ დროს საზოგადო ისტო-

რული ცხოვრებით გვიცხოვრია, ერთი ბუღისა და უბელობის ქვეშ ვყოფილართ; ერთი მეფეები ვყოფილა, ერთი მმართველობა და ერთი ენა, სარწმუნოება.

ეს ყველა იმათ ასსოვით, იმათ იციან, მაგრამ ჩვენ? ვის ასსოვს ჩვენში რომ ჩვენ გვერდით აქვე მთებს გადაღმა ორას ათასამდე ქართველი ცხოვრობს, რომ ჩვენ ვართ ერთი ქვეყნის შვილი, ძეგები ვართ, ჩვენს შორის განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ იმათ ძალდატანებით სარწმუნოება შეუცვლიათ და სხვა სახელმწიფოს ექვემდებარებან?

ან თუ ასსოვს ვისმეს, ვინ ცდილობს, რომ ჩვენს შორის ისტორიულ ვითარებათა წყალობით გაწყვეტილი კავშირი და იმათი მდგომარეობა გაეცნოს, და აგრეთვე ჩვენი თავიც გაეცნოს ჩვენი მოძმეებისათვის.

დიდი ხანია მას აქეთ რაც ჩვენ ყოველგვარი კავშირი გაწყვეტილ ოსმალის ქართველებთან. ახალს ქართულ ლიტერატურაში ორის სიტყვაც არ თქმულა ამხელ! ისინი ჩვენ მტედ გეთლიან და ჩვენ კი იმათ ოსმალელებად ვრაცხეთ, არ ვიცნობთ, არ გვინდა გაეიცნოთ.

ზნეობითი და სხვა ყოველგვარი მოვალეობა მოითხოვს, რომ ჩვენც ისე მძურად ვუყურებდეთ მათ, როგორც ისინი ჩვენ ვეყურებენ.

იმედია, არაფერ არ ჩამოგვართმევს ურთობა და უადგილობა, „დროების“ რედაქციის ნატერას, რომ მოისპოს ეს განკრძობა ჩვენსა და ოსმალის ქართველებს შორის, რომ ძეგმა ერთმანეთი დაახლოვებოთ გაეიცნოთ.

**შენიშვნა**

როზა გოგუაძე, იამზე კილურაძე, ნონა ღლონტი, გულსუნდა მახარაძე, მანანა ქილიფთარი, გიული ტვილიდანი თანაუგრძობენ ავთო ქართველიშვილსა და ლელა დვალისშვილს მამისა და მამამთილის **შოთა ქართველიშვილის** გარდაცვალების გამო

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაცია თანაუგრძობს ლელა დვალისშვილს მამამთილის **შოთა ქართველიშვილის** გარდაცვალების გამო.

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაცია თანაუგრძობს პედაგოგებს ნათია ნიკოლაიშვილსა და მარინა ჩხიკვაძეს დედისა და დედამთილის **ნანა ანდლუაძე-ნიკოლაიშვილის** გარდაცვალების გამო.

# ასეთი სპექტაკლის სანახავად ურეკში კი არა, ქვეყნის დასალიერშიც ჩავიდლოდი

### თამაშარ მარშანიშვილი

სხვის საქმეში როგორ ჩავერევი, მაგრამ მე რომ მკითხონ, ქალაქ ოზურგეთის ნოდარ ღუმბაძის სახელობის საჯარო სკოლის სახელოვან ისტორიაში გაუხუნარ ფურცლად და განსაკუთრებულ თარიღად შევიტანდი 2016 წლის 15 ნოემბერს. ამ დღეს ურეკის კულტურის სახლის სცენაზე მეორესკოლელებმა თეატრალურმა გოდერძი ჩოხელის გმირები გააცოცხლეს. გამიმართლა, რომ ეს წარმოდგენა ვიხილე. ასეთი სპექტაკლის სანახავად ურეკში კი არა, ქვეყნის დასალიერშიც ჩავიდლოდი.

ერთია, გოდერძი ჩოხელს — თანამედროვე ქართული მწერლობისა და თეატრის ნამდვილი, სამწიფაროდ, საწუთროდანი ნადრევი, ტრაგიკულად წასულ ფენომენს შეგელო და მეორეა, სულ ორი კვირის განმავლობაში მისი გმირები ისე გამოიჭრნენ და ამტყვევდნენ, რომ მყურებელს ცრემლიც მოჰგვარო და ბრავოც აძახებინო.

ვევლიან დიდი ბრავო პირად ჩემთან (ამბიცორობაში არ ჩამომართვით) იმ 38 ბავშვს და მათ ხელმძღვანელებს, ვინც ეს შეძლო!!!

შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ამ ბავშვების უმეტესობა პროფესიულ თეატრებში გადაინაცვლებს, მაგრამ გადოლებს განმსანიერებელი ლამაზი წულაძე რომ უკვე გამორჩეული ტალანტია, ამაში ნურავინ შეჰედავება.

სცენაზე უკიდვრად სიყვარულად დაიღვარა თამარ ინარიძის პერსონაჟი — ქეთინო. როგორ სასწაულად მიდის... არსად და არასოდეს მინახავს სიკვდილი ასე სირცხვილანჭაბი. თვალის ვერ აღიქვამს, თორემ გული გრძობს, რომ იგი, როგორც სიყვარულის მარადიულობის შარბინი სიმოლო, სიკვდილის შედეგად ამშვენებს სცენას. ამბობდაც ვერ



აქვ. რომ ენას, შესაძლოა, თვით გოდერძი ჩოხელსაც ასე ეთქვა.

ვერც ვიორგი ბაბილოძის თევზზე დაფიქრებულ პირობა წყალს. ალბათ, ბერის ნიშნავს, რომ ვიორგის განსახიერებულ თევზს, სპექტაკლის მსვლელობისას, რამდენჯერმე ტაში შეაგება დარბაზმა.

მომეწონა ასოვანი გურამ გოგიბერიძის პირდაპირი და გულუბრყვილო შეფარებული შეთქ.

ჩაღის როლის კარგად მოერგო ვიორგი კონტრები, რომელიც ამავე სპექტაკლის მსახივრია. როგორც აქ გაცხადდა, მისი დამზადებული ყოფილა აფიშა და მოსწვევებიც.

სიკვდილის სიმბატორობისა, საერთოდ, რა ვთქვი, რაც არ უნდა ქთქთებდეს, მაგრამ მყურებელი აშკარად სიმბათებით განიშტვალა სიკვდილის როლის განმსახიერებლის ლუკა სუნგულიასადმი.

თითქმის სათანახვრად წარმოდგენაში ვველა სხვა სახეც გასწილია, უნიღბა.

ენა ნახტომს მაინც არ მოველოდი. გაკვირვებით კი ნამდვილად არ გამკვირვებია, რადგან რეჟისორ ქეთევან მახინაშვილს ჩვევია მყურებლისათვის ასეთი სასიამოვნო სიურპრიზების შეთავაზება.

კარგია, რომ გოდერძი ჩოხელის ნაწარმოებას გასცენარების სათუთი და საფრთხილო საქმე ითავა ამავე სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა მია ლლონტმა, რომელიც საკუთარი შემოქმედებითაც პოეზიასა და დრამატურგიაში ისე გრძობს თავს, როგორც მთის წინწკლებიანი კალმახი ბროლისფერ ჩქერში.

ორიოდ სიტყვა მუსიკალურ გაფორმებაზე: მია თითბაძის მუსიკა, განსხვავებული ინტერპრაციებითა და ორიგინალური ვარიაციებით გემოვნებისად მოერგო სპექტაკლსა და მყურებელს.

რა უნდა ვთქვა ქორეოგრაფიაზე, რომელიც ამავე სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე ვუმერ ღუნდუას ეკუთვნის?! ანდეს და ნდობა გაამართლა. ასეა, როცა „ეკიცი ვვარზე ზტის“!

სპექტაკლის მონაწილეებმა ხანგრძლივი აპლოდიმენტების ფონზე დატყვეს დარბაზი, რაც იმის მანიშნებელია, რომ მეორესკოლელების „ადამიანთა სევდას“ მყურებელი სხვა სცენებზეც სიამოვნებით ნახავს. მოკლედ, „ეს ერთი და სხვა...“

ბოლო ორი სიტყვა მყურებლისა და მკითხველისთვის მიმინდა.

**P.S.** ენამ მიყვლა, „ადამიანთა სევდას“ მყურებელი სხვა სცენებზეც სიამოვნებით ნახავს-მეთქი. უკვე 18 ნოემბერს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ცენტრალურმა ბიბლიოთეკამ და მე-2 საჯარო სკოლამ ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში ერთობლივი საქველმოქმედო საღამო „ჩოხელები“ ჩატარეს, სადაც მეორესკოლელებმა სწორედ „ადამიანის სევდა“ წარმოადგინეს.

საქველმოქმედო საღამო გაიმართა გოდერძი ჩოხელის ვაჟის ვიორგის დასახმარებლად, რომელიც სამკურნალოდ იმყოფება ავსტრალიაში.

და მოხდა მოულოდნელი რამ: საქველმოქმედო საღამოზე მყურებელი ხალხათად მოვიდა (!!), ოზურგეთელმა საზოგადოებამ, მსუბუქად რომ ეთქვათ, წაიფორნილა იქ, სადაც ნამდვილად არ უნდა წაიფორნილებოდა.

# ავტომობილები განვადებით



„იმპორტი-2“ მთავაზობთ ავტომობილების და სხვა სატრანსპორტო საშუალებების ტრანსპორტირებას ავშ, მეროპის და იაპონური (მარცხენა საჭმ) სალიერო კომპანიებიდან და ავშციონებიდან. ასევე ავტო განვადებას: პირველადი შემსატანი ღირებულების 40%, დარჩენილი თანხა გადანაწილდება გაქმისუმ 36 თმვამ. ასევე მოქმედებს შიდა 0% განვადება. უპრემიუმენტოდ დაბალი ტარიფები მომსახურებაზე და ტრანსპორტირებაზე. უფასო კონსულტაცია.

ტელ. 595 11 10 30, ზურა, მისამართი: 26 მაისის ქ. № 11ა.



# მეროპის ჩემპიონატი მოტოკანში

11-13 ნოემბერს ქ. ბათუმში ჩატარდა ევროპის ჩემპიონატი „მოტოკან კარატე-დოშო“ სხვადასხვა ასაკში. მონაწილეობდა 29 ქვეყნიდან 1300-მდე სპორტსმენი.



აღნიშნულ ჩემპიონატში მონაწილეობდა ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გაერთიანებული სპორტის განვითარების ნაკრები გუნდი.

14-15 წლის მონაწილეთა შორის 50კგ წონით კატეგორიაში მეორე ადგილი დაიკავა ნიკა დარჩიამ, მესამე ადგილზე გავიდა 60კგ წკ.ში გიორგი მამინაშვილი.

საერთო ჯამში 2016 წელი საკმაოდ წარმატებული გამოდგა ოზურგეთელი კარატისტებისათვის და მათ ჯამში 35 მედალი (7 ოქრო) მოიპოვეს. მწვრთნელი შოთა ლლონტი.

გეთის მუნიციპალიტეტის გაერთიანებული სპორტის განვითარების ცენტრის დირექტორს ბატონ გონა კვანტალიანს მხარდაჭერისათვის.

გუნდი მადლობას უხდის ქ. ოზურ-

# თავისუფალი ჭილაობა

11-13 ნოემბერს ამბროლაურში ჩატარდა მსოფლიო და ევროპის ორზის ჩემპიონის გურამ საღარაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭოლაობაში ჭაბუკთა შორის. მონაწილეობდა; სომხეთის, აზერბაიჯანის, რუსეთისა და საქართველოს ქალაქებისა და რაიონების გუნდები. აღნი-

შნულ ღონისძიებაში ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გაერთიანებული სპორტის განვითარების ცენტრის ნაკრები გუნდიდან მესამე საპრიზო ადგილი დაიკავეს 38კგ წონით კატეგორიაში მეჯიდ მამედოვა და 42კგ წკ. კახა ძირკვაძემ. მწვრთნელი დავით მაჭარაშვილი.

# ასპარეზობენ ბავშვები ფეხბურთელები

ამ დღეებში ბავშვებმა ფეხბურთელებმა ბათუმის „დინამოს“ უმასპინძლეს და სტუმრებს სამი უმასპინძლო გოლი გაუტანეს (მწვრთნელები თორნიკე წულაძე და გონა კრასოტკინი). მასპინძელთაგან ორი ბურთი კონსტანტინე ხინიკაძის ანგარიშზეა, ერთიც ილია ღლონტმა გაიტანა (ბათუმელთა გუნდი ამ მატჩისთვის გიორგი ვაჩიბერიძემ მოამზადა).

უმასპინძლეს და ანგარიშით 3:1 დამარცხეს ფოთის „კოლხეთი“ (მწვრთნელი ნუგზარ ლემონჯავა). ბავშვთაგან თავი გამოიჩინეს ზაზა ბაკურაძემ, ალექო ლეკანაძემ და რაფუკა ართილაყვამ.

ბავშვებმა ფეხბურთელებმა ასევე

ბავშვები ფეხბურთელები სამომავლოდ იმერეთის ზონაში ასპარეზობას იმედოვნებენ.

ნიკა წუპრიამ



ელევა მისი სამოსის ნაწილს გალილივი, რომელსაც ვერ წარმოუდგენია სიყვარულის დამარცხვა.

სულის შემხვერელი იყო მარიამ კვარაცხელი ვილინი. სტატიკურად იდგა სცენაზე თეთრად გამოქანდაკებული, პარმონიული მუსიკის ელდით თხემით ტერფამდე საოცრად დამუხტული ვიონა და პაგანინის საყვარელი ინსტრუმენტით სასწაულებს ახლენდა.

ვაგი ვიონის ორიენტილთან გათანაბრებული სახე შექმნა ნიკოლოზ ცეცხლ-

„ადამიანთა სევდა“ ტემპერამენტანი, დინამიკური სპექტაკლია, მაგრამ, არა მონია, ტემპი და დინამიკა იყოს იმის მიხეზი, რომ მასში სუსტი წერტილი ვერ შევამჩნიე. რაც არ არის, როგორ შევამჩნიედი?!

მეორესკოლელებმა თეატრალური დასის ერთ-ერთ სპექტაკლზე რეცენზიის მსგავსი ადრეც მომიზადებია, თუ არ ვცდები, ეს იყო ორი წლის წინათ. მაშინ ვწერდი, რომ აქ მზარდი შემოქმედებითი პოტენციალი-მეთქი, მაგრამ ასეთ მოკლე დროში ამოღ-

# 7 დღის ამინდის პროგნოზი

მზა, -1+12 21 ნოემბერი ორშაბათი	მზა, -1+9 22 ნოემბერი სამშაბათი	მზა, -1+11 23 ნოემბერი ოთხშაბათი	მზა, +2+12 24 ნოემბერი ხუთშაბათი	მზა, +4+11 25 ნოემბერი პარასკევი	მზა, ღრუბალი +3+8 26 ნოემბერი შაბათი	წვიმა, +2+5 27 ნოემბერი კვირა
------------------------------------	------------------------------------	-------------------------------------	-------------------------------------	-------------------------------------	---	----------------------------------